პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

1976 კვირა 28 მარტი № 73 (16503) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დიდი შრომის გაზაფხული

ს.კპკ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა პარტიის უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო ამოცანად მიიჩნია. მის გადაწყვეტაში ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს ეკონომიკის ყველა დარგმა. პარტიის აგრარული პოლიტიკის ხორცშესხმისათვის ბრძოლის მოწინავე მიჯნებზე იყვნენ და არიან მინდვრებისა და ფერმების მუშაკები. მათი შრომა იოლი არ არის, როგორც იტყვიან, ისინი განთიადიდან განთიადამდე მუშაობენ. მთა უფრო, მეტი საფუძველი გვაქვს ყველას, პარტიასა და ხალხს დიდი მადლობა ვუძღვნათ სოფლის მშრომელებს“. ამ სიტყვებით აღფრთოვანებულმა სოფლის მშრომელებმა დიდი შრომის გაზაფხული ახალი ენერგიით დაიწყეს.

როგორც იქნა ზამთარმა გუდა-ნაბადი აიკრა, დაბლობი რაიონებიდან მინდვრებსა- და ბაღ-ვენახებში თოვლი გადნა, გაზაფხულის ჭზე ბანდახან გამოანათებს ხოლმე და მიწასაც ოროქანი ასდის. ერთ დღეს რომ მზეა, მეორე დღეს წვიმს, ზოგან კი თოვლჭყაპია. ასეთ შემთხვევაში სოფლის მშრომელები ამბობენ — გაზაფხული ჭირვეულია. მართლაც, რომ ჭირვეულობს. მაგრამ მინდვრისა და ბაღ-ვენახების მშრომელები, მეჩაიეები უამინდობას არ ეპუებიან და ადრეული ხელსაყრელ წუთებსა თუ საათებს საზოგადოებრივ საქმეს ანმარენ, რომ მეათე ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს ყარი საფუძველი ჩაუყარონ.

კახეთისა და ქართლის რაიონების მინდვრებმა თოვლის საფარი გადაიძრო და თვალნათლივ გამოჩნდა ვინ როგორ დათესა საშემოდგომო კულტურები, ხანგრძლივ ზამთარში როგორ ულტიფლნენ ნათესებს. ბევრი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში საშემოდგომო ნათესებს კარგი პირი უჩანს. სანაკვეთო ჯერ-ალეთისა და ფირაქის მინდვრებზე. წითელწყაროელ, სიღნაღელ თუ ლაგოდეხელ მემინდვრეებს არაფერი დაუკლიათ, რომ თოვლის საფარქვეშ ჯერ-ალეთები კარგად განვითარებულიყო. თოვლის წინ და თოვლზე ამ რაიონების მემინდვრე-მექანიზატორებმა ნათესებში საკმაო რაოდენობით შეიტანეს მინერალური სასუქები. ახლა მთავარია ჯერ-ალეთები არ დაეზიანოს მინდვრის მავნებლებმა, არ გაჩნდეს დაავადება. ამიტომ მემინდვრეთა და სპეციალისტთა ასი თვალია საჭირო, რომ ბავნებელ-დაავადებათა კერები დაუყოვნებლივ მოსპონ.

ჭირვეულმა ამინდებმა საგაზაფხულო კულტურების თესვა ერთობ შეაფერხა და საზოგადოებრივ მეურნეობათა მემინდვრე-მექანიზატორები დიდი გამოცდის წინაშე დაიყენა. გაზაფხულის პირველი თვე მიიწურა, მაგრამ შარშანდელთან შედარებით თესვა ერთობ ჩამორჩა. თქმა არ უნდა, ამაში ამინდია დამნაშავე, მაგრამ ამით ვულდამშვიდება და მოდუნება მიუტევებელია. უამინდობამ ხელი ვერ შეუშალა და საგაზაფხულო კულტურების თესვა წითელწყაროსა და გარდაბნის რაიონების ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში კარგად მომდინარეობს, ყოველ ხელსაყრელ წუთსა თუ საათს იყენებენ და თესავენ სიმინდსა თუ მზესუმზირას, ბოსტნეულს, რკალებ კომბოსტოს. ასე იქცევიან იქ, სადაც საზოგადოებრივ საქმიანობას პირადულზე წინ აყენებენ.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტექნიკის მოსამზადებლად ჯეუთარი მექანიზატორებმა კარგად გამოიყენეს დვ ტრაქტორები, გუთნები, სათესები, კულტივატორები დროულად შეკეთეს. თესლეულობასაც თითქმის ყველა რაიონი უზრუნველყოფილია. მიუხედავად ამისა ტექნიკის შეკეთების ხარისხი ზოგან შეუწყნარებლად დაბალია. ნეიელწყაროს რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობების მექანიზატორები სამდურავს გამოთქვამენ „საქსოფლტექნიკის“ დიდმარხარემონტო ქარხნისადმი, მერემონტებებმა ზემო მაჩხაანისა და არახლოსკალის კოლმეურნეობებს ტრაქტორების ძრავების შეკეთება ოთხი თვის მანძილზე გაუჭიანურეს. იმის მაგვარად, რომ ეს მათ ძრავების მაღალხარისხოვნად შეკეთებით. გამოესყიდათ, პირიქით, თითქმის შეუკეთებელი ძრავები დაუბრუნეს და ამან ის გამოიწვია, რომ ტრაქტორები მინდვრად გატანის პირველ დღესვე გაჩერდნენ. ასეთი შემთხვევა ლაგოდეხის რაიონშიც მოხდა. ეს ფაქტები დიდმელი მერემონტეების დაუდევრობასა და უყაირათობაზე მეტყველებს. აქვე კარ შეიძლება ის აღინიშნოს ერთიც: ახლა მიწა ტენიანია, სამუშაოთა ვადები კი არ ითმენს. მძიმე გრუნტში მანქანები ხშირად ზიანდება, საჭიროა დეტალების ადგილზე შედუღება. მაგრამ „საქსოფლტექნიკა“ საზოგადოებრივ მეურნეობებს შესადუღებელი ელექტროდით საკმაოდ ვერ უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ზოგან შეფერხებაა სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმეშიც. „საქსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელობამ ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელოს, რომ ეს ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას.

ხანგრძლივმა, სუსხიანმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა კახეთისა და ქართლის ზვრებსა და ხეხილის ბაღებს. მთელ რიგ რაიონებში ვენახები საგრძნობლად მოიყინა. მევენახეები ზემდგომი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარებას, მზრუნველობას ენერგიული შრომით უპასუხებენ. თელავისა და გორის ზონალური თათბირების შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების მოყინული ზვრებისა და ხეხილის ბაღების აღდგენის საქმეს დიდი ყურადღება ექცევა. მთავარია არ შევანელოთ სამუშაოთა ტემპი, მევენახეობის, მებაღეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, აგრეთვე ხასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესაბამისი კათედრების მეცნიერ მუშაკთა პრაქტიკულ დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი ლაბორატორია ამყამად მოყინული ვენახები და ბაღებია. სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს მათი ნიჭი და უნარი, საქმის სიყვარული. თვითონ მევენახეობისა და მებაღეობის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა კი დიდი ლაშქრობა უნდა გააჩაღონ მოყინული ბაღ-ვენახების რაც შეიძლება სწრაფად აღსადგენად. ბევრგან საკმისოდ, რომ იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდა. ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოყინული ვაზებისა და ხეხილის წესების სრული დაცვით გაჩხვლას, ფორმირებას. ამ სამუშაოს ჩატარებაზეა ძირითადად დამოკიდებული ის, რომ მოყინული ვენახებიდან მნიშვნელოვანი ზოგადი წლეულსავე მივიღოთ.

დიდი და საპატიო ამოცანების წინაშე დგანან საქართველოს მეციტრუსეები. დიდთოვლობის შემდეგ ციტრუსებს ნარგავებსაც უმტრს. იმედია მეციტრუსეები თავს არ შეიტცხვენენ.

დაგვიანებული გაზაფხული უთოოდ შეაფერხებს ჩაის ბუჩქების ვეგეტაციასაც და ცხადია ეს უარყოფითად იმოქმედებს მოსავლიანობის გადიდებაზე. ეს რომ ვარ მოხდეს, მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გადამჭრელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, ოომ ჩაის ფოთლის კრეფის ხეზონს მომზადებული. შეხვდნენ. ჩაის ფაბრიკების მუშაკებმა მეჩაიეებთან ერთად საქმე ისე უნდა დაიყენონ, რომ ახალი ხუთწლედის პირველი წლის ნედლეული შეუფერხებლად გადაამუშაონ და ხარისხის ხუთწლედში მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვან.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა: წლეულნდელმა სუსხიანმა ზამთარმა განსაკუთრებით ძალცია ანგარიში წაუყენა ჩვენს სოფლის მეურნეობას. რა თქმა უნდა, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მაგრამ ეს ვერაფერი შეიფარებია... მდგომარეობა მეტად მძიმეა, რესპუბლიკის ბევრ რაიონში თოვლი ჯერ კიდევ არ გამდნარა. კოლხეთის ზონაში ტექნიკის მინდვრებში გასვლა გაძნელებულია ნიადაგში ჭარბი ტენის გამო.

ახლა მთავარია მობილიზება, შრომის ზუსტი ორგანიზაცია, დარიგონი ამინდის თვითეული წუთის რაციონალური გამოყენება, მთელი ტექნიკისა და მექანიზაციის სადღეღამისო მუშაობის უზრუნველყოფა. ეს საბრძოლო მითითება სასოფლო რაიონების რაიკომებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, ყველა მშრომელმა თავიანთი მოქმედების პროგრამა-მინიმუმად უნდა გაიხადონ.

ს.კპკ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებების განახორციელებაში საპატიო ფვლილის შეტანა საქართველოს სოფლის მშრომელთა საპატიო ამოცანაა.

უზრუნველყოთ მოსახლეობა ბოსტნეულითა და კარტოფილით

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სუსხიანმა ზამთარმა, მერე კი ცვალებადმა ამინდმა ვაართულა და გაადნელა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საგაზაფხულო კულტურების თესვა რესპუბლიკაში ჩვეულებრივზე სამი კვირით გვიან დაიწყო. ირის ისეთი სახნავი მასივები, სადაც ნიადაგის ჭარბტენიანობის გამო თესვა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს მოეთხოვებათ გერგილიანობა, ზუსტი მოქმედება, დაკვირვებული და შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი. სოფლის მშრომელთა, ყველა კატეგორიის მუშაკთა მაღალი პოლიტიკური და შრომითი შემართება, ენთუზიაზმი, მათი მისწრაფება — ღირსეული საქმეებით უპასუხონ ს.კპკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, უნდა წარვმართოთ ისე, რომ უთუოდ განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფექტიანობის ამაღლების ძირითადი პრობლემები, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. „გთხოვთ, გთხოვთ, რომ გამოვყოფთ მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე, — ამაგე დროს, უურადღება არ უნდა მოვაკლოთ სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებსაც. მნიშვნელოვან ზრდას უნდა მივაღწიოთ ბაქრის ჭარხლის, ბამბის, ბოსტნეულის, ხილის წარმოებაში. აქ არ არის „ფვრილმანები“, — ხახვს ვერ შეაკლი კარტოფილით, ხოლო მცენარეულ ზეთს პამიდვრის ფვენით. — საბჭოთა ადამიანის სუფრაზე ყველაფერი უნდა იყოს“.

მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების შემდგომი გადიდებისა და დამზადება-გადამუშავების გაუმჯობესების, ამ პროდუქტებით რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხების მიეძღვნა თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

სპინფორმაციის ცნობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების საქმიანობის შესახებ გაკეთა გაერთიანების მმართველმა ა. მგელაძემ.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა მომზრაგება ბოსტნეულით, კარტოფილით, ფვნანლით, სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებმა ბოსტნეულის საშუალო ჰექტარობრივი გამოსავლიანობა გაადიდეს 148 ცენტნერამდე, 1971 წლის 97,7 ცენტნერთან შედარებით, საადრეო კარტოფილის დამზადება გაიზარდა 5,5-ჯერ. მაგრამ შარშან ძლიერი გვალვის გამო ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები არ შესრულებულა. ამიტომაა, რომ ერთგვარი შეფერხებაა ბოსტნეულის, განსაკუთრებით ხახვისა და ნიგვრის ვაჭრობაში.

როცა ჯეროვნად ვაფასებთ გაერთიანების დადებითს საქმიანობას, საჭიროა, აღინიშნა თათბირზე, შევიმუშაოთ კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც გაითვალისწინებენ ყველა საბოლოო წარმატებით უზრუნველყოფას (კერძოდ, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების ზრდის რეზერვების მაქსიმალური გამოყენება, დროული დამზადება, ხანგრძლივი შენახვისათვის დებინავება, და რაც მთავარია, ამ პროდუქტებით რესპუბლიკის ქალაქების, სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის და კურორტების, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შეუფერხებელი მომარაგება).

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ნაკლოვანებებს, სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ არსებულ ნეგატიურ მოვლენებს. უნდა გავაძლიეროთ დარგის ტექნიკური აღჭურვა, უფრო ფართოდ დანერგოთ პროგრესული მეთოდები მებოსტნეობასა და მეკარტოფილეობაში, სწორად შეკარჩიოთ კადრები, აღვზარდოთ და ვასწავლოთ მათ დადებითი მაგალითების მიხედვით. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი — სოფლის მშრომელები, დამამზადებლები, ეკონომისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკები, პროდუქციის გადაზიდვაზე დასაქმებული ადამიანები. ამასთან ყოველნაირად უნდა ავამაღლოთ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა და პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, შომოხოვნელობა ამათ მიმართ, ვინც უყაირათოდ იქცევა, სათანადოდ არ ზრუნავს ბოსტნეულის, კარტოფილის, მწვანილის, სხვა პროდუქტების მოკრეფა-მოყვანისათვის.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ს.კპკ მოსკოვის სამეალო კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ლვოვის სამეალო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. თ. დობროკინი, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ს.კ.კ.ს.-ის ელჩი ვ. ნ. ბაზოვსკი.

ეზუკოვის აეროდრომზე დელეგაციი გააცილეს ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. ო. უსტინოვმა, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ს.კპკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. პელშემ, ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ივნვე დღეს დელეგაცია სოფიაში ჩავიდა. აეროდრომზე მას დახვდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ტოდოროვი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სერ კავშირი ფ. ვ. ეულეევი, საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი. (საკადსი).

ᲛᲔᲐᲗᲔ-ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ-ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ

კვარტალის გეგმა—ვადამდე

ბუჩიკანის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 6.800 ცენტნერი ხორცი, პირველი კვარტალის გეგმით კი უნდა მიეყიდა 6.170 ცენტნერი და 2.800 ცენტნერი რძე ნაცვლად 4.510 ცენტნერისა.

ხაშურის რაიონის მშრომელებმა პირობა ვადაზე ადრე გაანადღეს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.170 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 2.150 ცენტნერისა, 5.590 ცენტნერი რძე, რაც პირველი კვარტალის დავალებას 250 ცენტნერით სჭარბობს. სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 1.650 ათასი ცალი კვერცხი, ფაქტიურად ვადაზე 20 დღით ადრე მიჰყიდეს 1.731 ათასი ცალი.

წყალტუბოს რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 3.470 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.210 ცენტნერი ხორცი, 5.790 ცენტნერი რძე ნაცვლად 5.350 ცენტნერისა. ასევე გადაჭარბებით შეასრულეს კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება.

საწარმოეგსა და საკოლმეურნეო მინდვრებში

ტემპის შეუნელებლად

ს.კპკ XXV ყრილობის მუშაობის დღეებში თბილისის კამვოლსართავი ფაბრიკის კოლექტივმა შრომის დიდ ნაყოფიერებას მიაღწია. შარშანდელი წლის ორ თვესთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 332 ათასი მანეთით გაიზარდა. საწარმოს მუშებმა გადაწყვიტეს ტემპის შეუნელებლად იშრომონ. წლეულს შემხვედრი გეგმით გათვალისწინებულია ყოველთვიურად გამოუშვან 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, 0,4 პროცენტით გაზარდონ პირველი ხარისხის შალის ნართის გამოშვება. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკის სავარცხნ-სარეჩი საამქროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი მზია ჟაჯაია და მვარცხნელი ნენერა საურიშვილი ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

შ. კრიმსკისა და ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მწვანე ჰლანტაციებში

ᲐᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ასსრ აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პლანტაციებში დიწყო საგაზაფხულო სამუშაოები. სწორაფი ტემპებით მიმდინარეობს რიგთაშორის მიწის მექანიზებული დამუშავება, ჩაის ბუჩქების შეკრეკვა და ამავე დროს უხვში ფოთლის კრეფა, რომლისგანაც შემდეგ ფილაჩაის ამზადებენ.

აჩიგვარელმა მეჩაიეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ვალდებულება აიღეს წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმით გათვალისწინებულზე 400 ტონით მეტი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ჩაის ბუჩქების მექანიზებული შეკრეკვა.

ი. ჰოსინელიძის ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲐᲠᲣᲪᲮᲕᲔᲚᲘᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მთავარია

კაპიტალური მშენებლობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია. მის შემდგომი სრულყოფა ბევრად განსაზღვრავს კომუნისტური აღმშენებლობის ახალ ეტაპზე ჩვენი საშობლოს ეკონომიური და სოციალური განვითარების იმ გრანდიოზული გეგმების წარმატებით შესრულებას, რომლებიც XXV ყრილობამ დასახა. ეს გეგმები მოქმედების სახელმძღვანელო გახდა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

„მეათე ხუთწლედი, — ნათქვამია მეთაურ წერილში („უკუგება მშენებლობისათვის მთავარია“) — მშენებელთა წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანები. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა სახალხო მეურნეობაში 630 მილიარდ მანეთს მიაღწევს. ამ სახსრების ძირითადი ნაწილი ხმარდება დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას. ამასთან დაკავშირებით იზრდება მოწყობილობებისათვის განკუთვნილი ხარჯების წილი. კვლავაც, არსებითად გაიზრდება მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, სათოფურის ინდუსტრიის, შავი და ფერადი მეტალურგიის ძირითადი ფონდები“.

ცნობილია, რომ მეათე ხუთწლედის პროგრამა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განუხრელი ზრდის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამაა. მშენებელთა ღირსების საქმეა ჯეროვანი წვლილი შეიტანონ ამ აღმშენებლობითი გეგმების შესრულებაში.

„კომუნისტის“ მკითხველები სამშაბათს, 30 მარტს, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წაიკითხავენ ა. ᲗᲘᲪᲮᲝᲠᲝᲜᲘᲡ ვრცელ წერილს „ს.კპკ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ: ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ“, რომელსაც „პრავდის“ 27 მარტის ნომერში ორი სარდაფი უმირავს.

მესამე გვერდზე გაჩნდა ახალი რუბრიკა „ᲞᲠᲔᲡᲐ: ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ“.

გაზეთმა აღნიშნავს გამოჩენილი ლენინელის ს. მ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ დაბადების 90-ე წლისთავს. („ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ“).

ПРАВДА

სკკპ დელეგაცია ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობაზე გამგზავრა

27 მარტს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობაზე მოსკოვიდან სოფიაში გეგმაგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. დ. კულაკოვი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის სამეალო კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ლვოვის სამეალო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. თ. დობროკინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩი ვ. ვ. ნ. ბაზოვსკი.

ეზუკოვის აეროდრომზე დელეგაციი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. ო. უსტინოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. პელშემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ივნვე დღეს დელეგაცია სოფიაში ჩავიდა. აეროდრომზე მას დახვდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ტოდოროვი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ფ. ვ. ეულეევი, საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი. (საკადსი).

ᲛᲔᲣᲐᲜᲔ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲐᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ასსრ აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პლანტაციებში დიწყო საგაზაფხულო სამუშაოები. სწორაფი ტემპებით მიმდინარეობს რიგთაშორის მიწის მექანიზებული დამუშავება, ჩაის ბუჩქების შეკრეკვა და ამავე დროს უხვში ფოთლის კრეფა, რომლისგანაც შემდეგ ფილაჩაის ამზადებენ.

აჩიგვარელმა მეჩაიეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ვალდებულება აიღეს წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმით გათვალისწინებულზე 400 ტონით მეტი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ჩაის ბუჩქების მექანიზებული შეკრეკვა.

ი. ᲰᲝᲡᲘᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

სახალხო მოსამართლეთა არჩევნები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

26 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ ემზადებიან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო-მოსამართლეთა არჩევნებისათვის თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონებში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონებში სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის მზადყოფნის ნიშნით.

სახალხო მოსამართლეების არჩევნები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. ჩვენი ამოცანაა, სანამუშოდ მოვემზადოთ არჩევნებისათვის, ორგანიზებულად ჩავატაროთ იგი და ადამიანს ბედის განსჯა მივანდოთ ხალხის ღირსეულ შვილებს.

თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები დროულად შეუდგნენ არჩევნებისათვის მზადებას. მათ განიხილეს და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი არჩევნების მაღალ ღონეზე ჩატარებისათვის. დებულებით დაწესებულ ვადებში შეიქმნა და გამოქვეყნდა სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების, საუბნო საარჩევნო კომისიების სიები.

აღმასკომებმა დროულად მიიღეს ზომები იმისათვის, რათა მოსამართლეებს ანგარიში ჩაებარებინათ ამომრჩეველებისათვის.

საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, ჯერ კიდევ გასულ წელს, თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებმა 96-ჯერ გაკეთეს საანგარიშო მოხსენებები ამომრჩეველთა წინაშე.

სახალხო სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით კასპისა და სამტრედიის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გამართეს სათანადო მუშაობა, განსაკუთრებით სოფლად.

რაიონული გაზეთების ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდება სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნებთან დაკავშირებული მასალები.

ამასთან, სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადების საქმეში თბილისის ორჯონიკიძის, სამტრედიისა და კასპის რაიონული საბჭოების აღმასკომებს აქვთ ნაკლოვანებებიც.

კასპისა და სამტრედიის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დაკვიანებით გააფორმეს საარჩევნო უბნები. სათანადო მუშაობა არ მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად. ასევე არ არის დაზუსტებული ამომრჩეველთა რაოდენობა თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, იგივე სურათია სამტრედიის რაიონშიც. სამტრედიის საქალაქო საბჭოს 16 მარტისათვის ამომრჩეველთა სიები შედგენილი არ ჰქონდა 8 საარჩევნო უბნისათვის. ასეთივე მდგომარეობა იყო ნაბაკევისა და ღანარის სასოფლო საბჭოების აღმასკომებშიც.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომმა სუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების დროს დაუშვა შეცდომები. სწორად არ არის ჩაწერილი ზოგიერთი ორგანიზაციის სახელწოდება. საოდანაც წარმოდგენილი არიან კომისიის წევრები (№ 2, № 3 და № 52 საუბნო საარჩევნო კომისიები).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 17 დეკემბრის დადგენილება სახალხო მოსამართლეთა არჩევნებთან დაკავშირებით სამტრედიის რაიონული საბჭოს აღმ

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:

ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის შედეგები და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ამოცანები“ გააკეთა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მ. ხინოსამ. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. ყორეოლიანი, ჭვანაბშირის საწარმოო გაერთიანება „ტყვარჩელის“ № 2 შახტის მაღაროელი მუშა ვ. ა. უსანოვი, გუდაუთის რაიონის ლიხნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ა. ჯობუა, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბუსლაზუბის მანდარეძის სანელობის კოლმეურნეობის პარტიბიუროს მდივანი, ეკონომიური განათლების სკოლის პროპაგანდისტი ლ. კ. ალანია, აფხაზეთის ასსრ აღგილობრივი მრეწველობის მინისტრი ზ. ა. ლაბახუა, გულრიფშის რაიონის მაჯარის სასოფლო საბჭოს მასწავლებელ სახლობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე ვ. ა. ავეტისიანი, სახლთსაშენებელი კომბინატის უფროსი რ. კ. ნინუა, გუდაუთის კერძორეკვიზიციორობის უფროსი ეკონომისტი, კომუნისტური შრომის სკოლის პროპაგანდისტი ტ. ბ. აჭბა, გალის რაიონის კოხორის მეცხვრეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ს. ვ. ხვისტანი, პარტიის რაიპარტკომის აფხაზეთის პირველი მდივანი ვ. მ. ცუგბა, სოხუმის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „აფსნის“ მექანიზატორთა ბრიგადის ბრიგადირი მ. ა. ქვარცხავა, გულრიფშის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბ. ალბერავა, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ზ. დ. ერქვანია, საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დირექტორი ვ. ვ. ვეფსალია, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის კომპლექსური კომაკავშირული-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ი. ბლანბა, სოხუმის საოლქომეტიელი დეპოს პარტბიუროს მდივანი, მემანქანე ფ. ვ. კახნიაშვილი, აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. ე. შარტავა, ქალაქ გაგრის ზონის სახოგადოებრივი ცენტრების ტრესტის მმართველის მოადგილე ს. ნ. ღურკაია, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ მუშა რ. უ. შენგელია.

მოხსენებასა და აქტივის კრების მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა ღრმად განმტკიცონ პარტიის XXV ყრილობის ისტორიული აზრი და მნიშვნელობა.

საბჭოთა ხალხის უდიდეს მიღწევებში, აღნიშნეს კრების მონაწილეებმა, არის საქართველოს მშრომელთა მეცადინეობის შედეგიც, რომლებმაც პარტიის XXV ყრილობის უპატაკეს რეპაბლიკის მეორე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება. ამ წარმატებებში აფხაზეთის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის დამბადები შრომის წილიანია. გასული წლისა და მეცხრე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაზე დამსწრეთ ესაუბრა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. ჯავახიშვილი.

Ა. ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔ.

◆ **ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ.** პარტიის რაიკომმა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის მოაწყო თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია.

შეკრების მონაწილეებმა განიხილეს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი საკითხები: ყურძნის, მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების გაზრდის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის შემდგომი სრულყოფის ძირითადი ამოცანები.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. დეგდარიანმა.

რაიონში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დასახულია ახალი ამოცანები.

Გ. ᲯᲐᲜᲐᲗᲠᲘᲐ.

◆ **ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘ.** სასოფლო საბჭოს აქტივმა სოფელ ხაბელაშვილებში შეხვედრა მოუწყო სოფლის მოწიფულებს.

„სკკპ XXV ყრილობის ამოცანები“, „შრომა სახელისა და დიდების საქმეა“, „ჩვენი სოფლის მოწინავენი“ — ამ საკითხებზე ისაუბრეს წყალსაყრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ შ. ზოიძემ, ენაგორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ზოიძემ და კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა დ. ბერიძემ.

Შ. ᲓᲝᲜᲐᲣᲠᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲒᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲪᲮᲠᲐ წლის წინათ ევროპისზე მომუშავე რუსმა კაცმა, ხეინკალმა ი. იგუმენოვმა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მშენებლობებზე ატარებს, თქვა: — „რა ჯურის ადამიანები არ მინახავს! თამაზი კი სხვაა... ითვლებს და აღამებს სამუშაოზე, თავს დასტრიალებს უბანს. ისე კი არა, როგორც აქაოდ მინახავს: გადმოხტებიან უფროსები მანქანიდან, მიმოიხედავენ, გასცემენ განკარგულებებს და გაქრებიან... თუ გინდათ სხვებსაც ჰკითხეთ. გამეფდებით მუშის ტანსაცმელი აცვია, ზოგჯერ ვერც გამოიცნობ, ვინ არის — უბნის უფროსი, ინჟინერი თუ გვირაბგამყვანი, მეიერსკაკატორე, ავტომძღოლი! ეფუბნებით, ვერ გამოიცნობთ-მეთქი. ყველა მანქანა ზეპირად იცის, მთელ თავის ძალლონეს, უნარს უბანს აბპარს. აი ახლა ვაწყობთ მის დანდგარს ვერტიკალური ბურღვისათვის. თითქოს უბრალო ამბავია, მაგრამ არავის თავში არ მოსვლია ეს, რომ არც გინდოდეს, ასეთი ადამიანს მაინც პატივს სცემ.

ეს სიტყვები ახლაც, ცხრა წლის შემდეგაც, ზედგამოჭრილია. თამაზ ნადირაძის დასახასიათებლად. ახლაც ისეთივე ჯაფაცებით და შეუპოვრად შრომობს, როგორც ადრე უნგურეპესზე. ამჟამად ლენინგრადის მიდროკომპლექსის მშენებლობის მესამე უბნის უფროსია, სამოცდახუთი მეტრის სიღრმეზე გაპყოლის წყალგამშვები გვირაბი. სამუშაო მეტად რთულია და თანაც შრომატევადი. მაგრამ მამაც გვირაბგამყვანებს ეს რაღა აშინებთ. რადგან მათ სათავეში უდგას თამაზი, ნიჭიერი ორგანიზატორი. მომთხოვნი და ამავე დროს მეტად გულისხმიერი ხელმძღვანელი, რომელსაც შეიძლება გადაუპარებლად ეთქოდოთ ვერაბის ვეფხვი, ქვესკნელში შრომის დიდოსტატი. მას, სახელგანთქმულ ინჟინერს, ახლაც ვერ გაარჩევთ უბრალო გვირაბგამყვანისაგან, ახლაც მუშის ტანსაცმელი აცვია, დღედაღამ უბანზეა, მუშების ჭირისა და ლხინის პირველი მოზიარეა.

მართალი ნათქვამია, რომ კომუნისტი იქ არის, სადაც საქმე ჭირს. თამაზ ნადირაძეს, როგორც კომუნისტს, თავისი დანიშნულება სხვანაირად ვერც წარმოიდგენია. 1945 წელს თამაზმა დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ოღონ საბოლოოდ არ უძებნია. მამინვე ენგურჰეს მიაშურა. ეს შემთხვევითი არ მოხდარა, რადგან მისი სადიპლომო შრომა სწორედ ჰესის მათანაბრებელი რეზერვუარისა და სატურბინო მილსადენის საინჟინრო გაანგარიშებას ეხებოდა. ახალგაზრდა ინჟინერი ცელის ოსტატად დანიშნეს, სადაც მხოლოდ ერთი კვირა დაჰყო, შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლობა მიანდეს, რამდენიმე თვის შემდეგ — უბნის უფროსობა. ასე აირბინა მან სამსახურებრივი კარიერის საკმაოდ რთული კბილ, მაგრამ ეს ადგილი როდი გაჭლდა. ვინ მოთელის, რამდენი შრომა, რამდენი უძილო ღამე დასჭირდა, საყოველთაო აღიარებისათვის რომ მიეღწია. ის მაშინაც და ახლაც თავს არ ზოგავს, თავისი სულიერი და ფიზიკური ენერგიის ბოლომდე ერთ მისახალს არ კარგავს უმნიზნოდ, საქმისათვის უსარგებლოდ.

კაცის ცხოვრებაში არის დაუვიწყარი მოვლენები, რომელიც არასოდეს არ ქრება გონებიდან. თამაზ ნადირაძისათვის ასეთი ნიშანსვეტი იყო 1967 წელი, როცა ის სკკპ რიგებში მიიღეს. ახალგაზრდა კაცმა მაშინ სამუდამოდ აღიბეჭდა გონებაში კომუნისტის მაღალი მოვალეობა, რომელსაც არასოდეს, რა რთულ პირობებშიც უნდა მოხვდე, არ ეღალატება. თამაზიც ამ ღალატს კომუნისტის მაღალ წოდებას, ყოველთვის იქ არის, სადაც ჭირს.

ამ მოხდა ეინგალშიც. ჰიდროკომპლექსზე სამუშაოდ რომ მოვიდა, თამაზი უკვე სახელმოხვეჭილი ჰიდრომშენებელი იყო, კარგად ხანს ნელმძღვანელობდა პირველ უბანს, აშენებდა წყალგამყვან გვირაბებს, ამასთან ერთ გვირაბში უკვე ირაგვი მიაგორეს ტალღებს, მეორეც მზად არის. მესამე უბანი კი, რომელსაც ახლა ხელმძღვანელობს, ჩამორჩენილი იყო. ერთი წლის წინათ მე თვითონ ვიყავი სანგრევში „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი ი. ირობელიძესთან ერთად, რომელიც უკმაყოფილო დარჩა სანგრევის მდგომარეობით. გვირაბში გაუფალი ტალახი იდგა, გაუმაგრებელი ჭერიდან ნიალერად მოდიოდა ამოღრეული წყალი. ქონბინი დატვირთულ ვაგონებს ხელით აგორებდნენ, არ იყო საჭირო ტექნიკა. მიუხედავად ცუდი გეოლოგიური პირობებისა, ახალგაჭრილი გვირაბის თაღს დრმუ არ ამაგრებდნენ, მოსალოდნელი იყო უბედური შემთხვევა... მერე მესამე უბანი თამაზ ნადირაძეს ჩააბარეს და, როგორც კომუნისტს, დაავალეს მოკლე ხანში გამოესწორებინა მდგომარეობა.

ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

თამაზი ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს, დღედაღამ სანგრევში ახალშეძენილ მეგობრებთან იყო. ზოგმა ვერ გაუძლო დაძაბულ შრომას და სხვაგან, უფრო მყუდრო ადგილას წავიდა, ძირითადი ბირთვი დარჩა, გაპყვა ახალ ხელმძღვანელს. მალე საქმე უკეთესობისაკენ შეიობრუნდა, გაუმჯობესდა ვერტიკალური შახტის ტექნიკური აღჭურვილობა, სპეციალური ლიფტის საშუალებით ჩადიან გვირაბში და ამავე ლიფტით ამოაქვთ მონგრეული ქანობი. სანგრევში ჩაიტანეს საბურღი და ფუჭი ქანობის ასაღები დანადგარები. ახლა მიწის ქვეშ სამი ბატარა ელმავალი მუშაობს. ტალახი აღარ არის, გვირაბის თაღი დამაგრებულია ლითონის სამაგრით, დროზე ბეტონებენ. ცუდი გეოლოგიური პირობები ისევ ძალაშია. წამში ხუთი კუბური მეტრი წყალი ახლაც მოდის, რომელსაც შეეძლო მთელი გვირაბი დაეტბორა, მაგრამ ამის საშუალებას მძლავრი სატუმბავები არ იძლევიან... ერთი სიტყვით, ყველაფერს ნადირაძის ხელი ატყვია.

ენინგალის ჰიდროელსადგურის მიერ გადამუშავებული წყალი (ელსადგური მიწის სიღრმეში უნდა აშენდეს) ერთხანს რეკილომეტრიანი გვირაბით იქნის, აქედან სამი კილომეტრი მესამე უბანსა უნდა გაკრას. უკვე მზად არის 400 მეტრი.

ენგურჰესში ყოფნის დროს თამაზმა წამოიყენა სადერივაციო გვირაბის თაღების ანკერული გამაგრების გაბედული იდეა ჩვეულებრივი თაღურის ნაცვლად. მისი აზრით, ლითონის სამაგრი დროებითი უნდა ყოფილიყო. რაციონალიზატორული წინადადება იძლევდა ლითონის ფიფი ეკონომიას. ამის შესახებ დაწერილ მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა ვერტიკალური ბურღვისათვის შეშუშავებული სპეციალური დანადგარის ნახაზი. სწორედ ამაზე ამბობდა მაშინ ზეინკალი ი. იგუმენოვი — ის ახლა გაწყობთ თამაზის დანადგარს, ვერტიკალური ბურღვისთვისო, რამაც მშენებლობას მრავალი ლითონი და ფული დაუზოგა.

არც ახლა ასეენებს თამაზს. მაძიებელი გონება. ახლაც მენაკოკის ამირან მინაძესთან ერთად მიუგენია ახალი რაციონალიზატორული აზრისათვის, რომელიც 57 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა. იგი გულისხმობს არ გადაყვანონ დამხმარე შტრეკი და გვირაბში სამუშაოები აწარმოონ ამ ძვირადღირებული ნაგებობის გარეშე.

კომუნისტ თ. ნადირაძეს კარგად აქვს შეგნებული, რომ ადამიანის აღზრდა იწყება კოლექტივში, რომ თუ უბანზე არ ჩამოყალიბდა მუშათა ის ძირითადი ბირთვი, ის „გონებრივი და ზნეობრივი ცენტრი“, რამაც უნდა წარმართოს მუშის შრომა და ცხოვრება, მაშინ არ იქნება შეშფოთებული კოლექტივიც, რომელიც თვალისჩინივით გაუფრთხილდება მუშის მაღალ სახელს.

სანგრევშია თამაზ ნადირაძე

მესამე უბანში უკვე არსებობს ასეთი ბირთვი, რომლის სული და გული კომუნისტები არიან. შრომას და ვაჟკაცობას უქმნიან გვირაბგამყვან კომუნისტებს ი. ცაროლს, დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს დეპუტატს ვ. მელიქიშვილს, მიწისქვეშა ზეინკალს ვ. მერცლოვს, ეკიპაჟმეთაურს, უპარტიოებს — ბრიგადირ ნ. ბუნეკურს, რომელიც ენინგალში მისვლამდე ოც წელს მუშაობდა ტყიბულის შახტაზე. ავტორიტეტით სარგებლობენ მ. ქარსლელი, ა. მეზვრიშვილი, შ. მიქაუტაძე, თ. გელიაშვილი და სხვები.

როცა ენინგალის ჰიდროკომპლექსზე სამუშაოდ ახალი კაცი ჩამოდის, მას აფრთხილებენ, ოფლის ღვრა თუ გიზარება ნადირაძის უბანში სამუშაოდ არ მიხვიდეო. თამაზმა შეიძლება ადამიანის ბევრი ნაკლი აიტანოს, მაგრამ ზარმაცსა და თაღლით კაცს სათოდ ვერ ატანს, არ შეიძლება ასეთი ვინმე მოითმინოს თავის კოლექტივში. ამ ნადიმზე მას, თავისი ეტისმეტი პირდაპირობის გამო, ბატონ ... სჯელიც მიმართავ ... ბოლოს, სამშობლოდან ... ყველანაირ ... ...

ასევე ვერ იტანს იგი ე. წ. თვალღია მძინარეებს, ადამიანებს, რომლებიც იცქირებიან და ეგრეფერს ამრეკენ, არ ფიქრობენ იმაზე, რასაც ხედავენ, სიკეთესა და ბოროტებას გასურჩეველად შესცქერიან. ამიტომ არის, რომ ოჯ ზოგჯერ ტენისპეტად და შეიძლება გადაჭარბებულადაც პირდაპირია ადამიანთა შეფასებაში, ეს მისთვის ზოგჯერ სიხანარე არის, მაგრამ სამართლეს მაინც ვერ ღალატობს...

ენინგალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. ღარიბაშვილმა გვითხრა: — ერთ რამეს ვერ წავარმეევთ თამაზს, იგი მეტად შრომისმოყვარეა, სანგრევიდან მორლაც იშვიათად გამოდის, თავისი საქმე ზეპირად იცის, მთელ ძალღონეს საქმეს აბპარს.

...მე და მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე შ. მწყობური ახლახან თ. ნადირაძეს უბანში ვესტუმრეთ, არაგვის ხეობაში, სადაც თვალი მიგვიწვდებოდა, თეთრ ნაგებში განვეული მთები თითქოს და უზარმაზარ ჩიბუხებს აბოლებდნენ, მწვერვალებთან ებიდებოდა ბავი ღრუბლები, ოღნავ მოდიდებული არაგვი მოიმღეროდა ახალი გვირაბი, რომლის გაკრაში ვიაკაცურად შრომობდნენ თამაზი და მისი მეგობრები. ახლა თამაზი თავის სამუშაო ჯიხურში დაგვხვდა, წინასწარ რომ არ გაგვეფრთხილებინა, აუცილებლად სანგრევში იქნებოდა: — ამ ღილით სახლში 6 საათზე წავედი, — გვითხრა, — მაგრამ ისევ უკან დაბრუნება მოგიხდა, მეფოლესა და ბავშვებს ხეირიანად არც ვუნახავართ...

გამოვკითხეთ ამბავი: — კვირტალის გეგმის აუცილებლად გადავაჭარბებთ, სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ვიკისრეთ და შეკასრულებთ კიდეც. გვირაბგამყვანებს სიტყვის გატეხა არ სჩვევიათ. ეეჯიბრებით მეორე უბანს, რომლის უფროსია ზ. გვენეტაძე. ეჯიბოთ, ვინ ვის აჯობებს. დასასრულავი არ არის, რომ ზოგი რამ გვაკლია, მაგრამ ამას როგორმე მოვევლება.

ჩვენს საუბარში გვირაბიდან გუგუნი ისმოდა. ი. ნადირაძის უბნის ბიეები სანგრევს ებრძოდნენ.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲒᲑᲘᲡ, ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲔᲡ კრება მიეძღვნა მეცხრე ხუთწლედის დაკანონებათა შესრულების შედეგებსა და რესპუბლიკაში ნიგნის გამომცემლობის საქმის შემდგომი განვითარების, დარგის მართვის სრულყოფის, წიგნების წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანებს.

პოლიგრაფიულთა კლუბში თვალსაჩინო ადგილას ამოკვეთილი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „სიტყვა ძალაა და ძალიერება. უწოდონ თვალთახედვის ისარი მოკლეა“. სწორედ ეს-ბრძნული სიტყვები მოხდათ თავლში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებს. მათ მოისმინეს კომიტეტის თავმჯდომარის გ. თაბუმიშვილის მოხსენება „დარგის ორგანიზაციებსა და საწარმოების მეცხრე ხუთწლედის სამეურნეო საქმიანობის შედეგები და 1976 წლის ამოცანები სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა საგამომცემლო საქმიანობა. გამოიცა სხვადასხვა სახისა და ხასიათის 6.410 სახელწოდების წიგნი. ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, სახელმძღვანელო-კური, მხატვრული, საბავშვო ლიტერატურა, წიგნები ხელოვნების საკითხებზე და სხვ. გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟი 80 მილიონს გადაჰკარბა.

ახლა გამომცემლობათა მუშაობის მთავარი მიმართულება აქტიური პროპაგანდა გაუწიონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მის ლენინურ იდეებს, მსობრივ მკთხველს განუთარონ ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, კომუნისტური მშენებლობის პრობლემებისადმი, გაიცნონ ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული გომომცემლობებისა და პოლიგრაფისტების წინაშე მეათე ხუთწლედში. გათავლილნებულია გაფუჭრეპესთან საგამომცემლო საქმე და წიგნის ვაჭრობა, გავზარდოთ წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების გამოშვება და ავაღლოთ მათი გამოცემის ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ სახელმძღვანელოებს, სბპაავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემას, ეროვნული ენციკლოპედიის, ეროვნული ენციკლოპედიის, ეროვნული ენციკლოპედიის

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკვანძო და ეცხოვრების პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ვითარება არგენტინაში

□ დაპატიმრებულია 1.800 კაცი □ გენერალი ხ. რ. ვიდელა — პრეზიდენტად დანიშნეს

ნიუ-იორკი. (საკვანძო). არგენტინაში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა, გამოცხადებულია საგანგებო წესები, როგორც ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, არგენტინის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების ქუჩებში პატიოლულნენ ჯარები. არმია კვლავ განაგრძობს „ეკვმეტანილ პირთა“ ხხრეკა-დაპატიმრებას. ამ კატეგორიას „განეკუთვნებიან, კერძოდ, დამბობილი მთავრობის ბევრი მაღალი თანამდებობის პირელენი, პერონისტული და პროფკავშირული მოძრაობის ლიდერები. მაგალითად, დაპატიმრებულია დეპუტატთა პალატის ყოფილი თავმჯდომარე რაულ ლატირი, სოციალური უზრუნველეყოფის ყოფილი მინისტრის ანლო ნათესავი და მომხრე ლოპეს რეგი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, დაპატიმრებულთა რიცხვი 1800-ს აღწევს.

სამხედრო ხუნტამ მიმართა ბოელ რიგ ახალ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მისი ძალაუფლების განმტკიცებას ადრე გამოცხადებული პროგრამის შესაბამისად. ხუნტის ერთ-ერთი დეკრეტის თანახმად სახელეთო ჯარების სარდალი გენერალი ხორხე რაფაელ ვიდელა დაინიშნა ქვეყნის პრეზიდენტად. მას ფიცს დაადებინებენ 29 მარტს.

სხვა დეკრეტით შექმნილია სპეციალური კომისია ცხრა კაცის შემადგენლობით — სამ-სამი წარმომადგენელი თვითეული გვარეობის შეიარაღებული ძალებიდან. კომისიას საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები ეკისრება, მიუსბრობელი ქვეყნების ჯგუფმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც კვლავ დასტურებს, რომ აუცილებელია საბრთოლიანი და მტკიცე შეგიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში, ხაზგასმულია, რომ შეუწყნარებელია ომის გზით სხვისი ტერიტორიების დასაკუთრება, და აღნიშნულია, რომ საჭიროა ისრაელმა შეწყვიტოს არაბულ ტერიტორიათა ოკუპაცია. რეზოლუციის პროექტში გამოთქმულია უშიშროების საბჭოს წევრთა დიდი შეშფოთება იმ სერიოზული სიტუაციის გამო, რომელიც არაბულ ტერიტორიებზე შეიქმნა ისრაელის სამხედრო ოკუპაციის შედეგად. რეზოლუცია მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს არაბული მიწების ხელყოფისა და ექსპროპრიაციის პოლიტიკას, რომელსაც ისრაელი ახორციელებს, ისრაელთა გასამხედროებული დაბების შექმნასა და არაბი მოსახლეობის მიმართ ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 14-მა წევრმა ხმა მისცა ამ პროექტის მიღებას. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვეტო გამოიყენა და ხელი შეუშალა დოკუმენტის მიღებას, რითაც კვლავ გამოვიდა ისრაელ დამპყრობთა მფარველის როლში.

ამასთან დაკავშირებით აქ ყურადღებას მიაყრობენ ცნობებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აღუთქვა ისრაელს, ვაშინგტონი არ შეცვლისო თავის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთის შიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია მკვეთრად გააკრიტიკეს უშიშროების საბჭოში. კენჭისყრის შედეგებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ისრაელ აგრესორთა და მათ იმპერიალისტ მფარველთა სულ უფრო მზარდი იზოლაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, თქვა ლიბიის არაბთა რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა მ. რ. კიხიამ.

ამერიკის შეერთებული შტატების ვეტო მხოლოდ წაიქეზებს ისრაელის მმართველ წრეებს იმისათვის, რომ გააგრძონ აგრესიული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, განაცხადა პალესტინის გასთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზ. ლ. ტეგრაზმ. მან მოითხოვა, რომ ბოლო მოეღოს ასეთ პოლიტიკას და განხორციელდეს პალესტინელი ხალხის ის ისტორიული ხელშეუვალი უფლება, რომ ჰქონდეს თავისი სამშობლო.

ხელისუფალთა წაქეზებით

ნიუ-იორკი. (საკვანძო). ადვირასხნილი სიონისტური ვაშბატონები, რომლებიც ამერიკის ხელისუფალთა ნაჯოლებით სარბენლობენ, ახალ პროვოკაციებს სჩადიან.

ნიუ-იორკში საბჭოთა საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციის „ამტორგის“ შენობაში აღმოაჩინეს საათის მექანიზმით აღჭურვილი ბომბი. ტერორისტული აქტი მოამზადა ერთ-ერთმა სიონისტურმა ბანდამ. „ამტორგის“ ხელმძღვანელობამ ამერიკის ხელისუფლებს პროტესტი განუცხადა.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ამერიკის ოფიციალური ორგანოები დღემდე არ მიმართავენ ეფექტიან ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების უსაფრთხო საქმიანობა, დაიცვან მათი თანამშრომლები სიონისტური ბანდების პროვოკაციებისაგან.

ფოტოინფორმაცია

ლაოსი

ბრუნდებიან მშობლიურ ადგილებში

ბმის წლებში ლაოსის ათეულ ათასობით მცხოვრები ძალებულ იყო შშობლიური ადგილები დაეტოვებინა. ყოფილი ადმინისტრაცია ძალით ასახლებდა ადგილობრივ მკვიდრთ, რათა ქვეყნის ჯრცელი რაიონები „თავისუფალი ცეცხლის ზონებად“ ექცია. გადასახლებულნი უმწეო ცხოვრებას ეწეოდნენ ეგრეთ წოდებულ „ლტოლვილთა ბანაკებში“ (სურათზე ზემოთ).

ამჟამად ახალგაზრდა რესპუბლიკის რევოლუციური ხელისუფლება ყველა ზომებს იღებს ლტოლვილთა მშობლიურ ადგილებში დასაბრუნებლად. მათს გადმოყვანაში დახმარებას უწევენ „აეროფლოტის“ თვითმფრინავები.

სურ. ზემოთ.

ეთიოპია დღეს

უკავის საუოგლოში

იმ დღეს ისეთი გაგანია სიცხე იდგა, რომ კაცს ფიქრიც კი უმძიმდა, მაგრამ ჩრდილში მჯდარ მოხსტრის წინამძღვარს აკვიატებული აზრი თავიდან ვერ მოეშორებინა. „ჰო, ღამ-ღამობით სიფხიზლის საქმე ვერ არის კარგად, — ფიქრობდა იგი, — ბერ-მონაზვებს ღოცვისას ეფლინთბათ და ძილისკენ მიაქვთ თავი“. მის ნადვილიან ფიქრებში უცებ მწყემსის ხმა შემოიჭრა, რომელიც წინამძღვარს თავების უცნაური ქცევის ამბავს უყვებოდა, მახლობლად მდებარე მთებში რომ აძოვებდა: „როგორც კი თხები იმ ნაყოფს შეჭამენ, მათგან საშველი აღარ არის. ხალხი ჩივის“. „რა ნაყოფზე ლაპარაკობ?“ — ჩაეკითხა წინამძღვარი მწყემსს არც თუ დიდი ინტერესით. „რაღაც წითელი ნაყოფია, — უთხრა მწყემსმა,—რომელიც ბლომად ასხია მთის ფერდობებზე მზარდ ხეებს“. „კი მაგრამ, მაინც რა მოსდით თხებს?“. „რა და მთელი ღამე თვალს არ ხუჭავენ და ბღავიალით იკლებენ აქაურობას“. წინამძღვარი ერთბაშად გამოცოცხლდა. „ახლავე გაიქეცი, — უბრძანა მან მწყემსს, — და ის ნაყოფი აქ მომიტანე. გავარკვიოთ ერთი, რაშია საქმე“. მწყემსმა ნაყოფი მოურბენინა და სოფელ ჯიმის მოსსტერში, ეთიოპიის სამხრეთ-დასავლეთით რომ მდებარეობს, ცხოვრება ამლებურად წარიმართა. წინამძღვარი გამხმარ ნაყოფს ხარშავდა და ყოველ საღამოს ბერ-მონაზვნებს აიძულებდა თითო ფინჯანი ნახარში დაეცოიათ. ღამ-ღამობით ბერები ფიხზლობდნენ.

ძნელი სათქმელია, რამდენად დიდი ხნის წინათ მოხდა ეს ამბავი, ბაგრამ თუ ლეგენდას დავუჯერებთ, ცნობისმოყვარე თხებისა და მთვლემარე ბერების წყალობით ადამიანები გაეცვნენ ყავას — არომატულ გამმაფხიზლებელ სასმელს.

ყავის სამშობლოდ ეთიოპია მიაჩნიათ, უფრო ზუსტად მისი ერთ-ერთი პროვინცია თითხმეტთაგან — კაფა, რომლისგანაც წარმოდგება ამ პროდუქტის არაბული სახელწოდებაც. აქა

თ ა ს ი — დაძაბულ ბრძოლაში

ასე იბადებოდა საკავშირო ჯიხური და ასალი რეკორდი

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ფრუნზეში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის სასტენდო სროლის ოსტატებმა, რომლებმაც საპატიო პრიზი მოიპოვეს და ახალი-საკავშირო რეკორდიც დაამყარეს.

გუშინ ჩვენს რედაქციას ყირგიზეთის დედაქალაქში მოპოვებული ნადავლით (სურათზე მარცხნივ) ეწვია საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ზურაბ მაჩხანელი. გთავაზობთ მის ნაამბობს.

— წლეულს სასტენდო სროლის 15 გუნდის საუკეთესო ოსტატებმა მოიყარეს თავი ფრუნზეს სროლეთზე, სადაც 18-25 მარტს სსრ კავშირის თასის გათამაშება იყო დანიშნული. სპეციალისტები მრავალ სტენდზე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ რუსეთის ფედერაციის ან საქართველოს ნაკრებებს, რადგან სწორედ ამ გუნდებში გამოდიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები.

ასეც მოხდა: ძირითადი ბრძოლა თასისათვის სწორედ ამ ორ კოლექტივს შორის წარიმართა. სროლის პირველ სერიაში ლიდერობა ხელი იგდეს ჩვენმა მეტოქეებმა, რომლებმაც 100 შესაძლებლიდან 99 ქულა მოაგროვეს. საქართველოს გუნდი მათ 2 ქულით ნაბორრა. მეორე სერიაში რუსეთის ფედერაციის გუნდს და ჩვენ ერთნაირი შედეგი ჰქონდა — 97 ქულა თვითეულს. ხოლო მესამეში — ჩვენ ერთი ქულით (98) ვაჯობეთ ძირითად მეტოქეს.

...დარჩა გადამწყვეტი, მეოთხე სერია. თბილისელმა მსროლელმა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თამაზ იმნაიშვილმა და მისმა მეგობარმ — სპორტის ოსტატმა ა. ესელოვიჩმა (რუსეთის ფედერაცია) მაქსიმუმი 25-25 ქულა მოიპოვეს. ასეთივე შედეგები ჩვენ-ვენეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა, არმიელმა თემურ მატროსიანმა (საქართველო) და ნ. ბენეშმა (რუსეთის ფედერაცია). სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა — ლოკომოტიველმა ტარიელ ჯღენტმა (თბილისი) და ი. ცერანოვმა (რუსეთის ფედერაცია) ბგრეიგვ შეუცდომლად ასასრულეს — 25 ქულა თვითეულს, ხოლო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ბ. შიბაშვილმა ორჯერ დაკაცილა მიზანს — 23 ქულა.

გადამწყვეტი სიტყვა ახლა თბილისელ სპორტის ოსტატ გია შენგელიას (სკა) ეკუთვნოდა. ჩვენს გუნდს ამ სერიაში არცერთი ქულა არ ჰქონდა დაკარგული. ცხადია, გ. შენგელია ძალზე ღელავდა და... დასაწყისშივე (მეორე სროლისას) აკილა სამიზნეს.

სწორედ აქ გამოჩნდა 21 წლის ქართველი სპორტსმენის (იგი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია) ნებისყოფა და, მე ვიტყოდი, უდრეკლობა. გ. შენგელიამ 24-ე სამიზნეც დაიჭიანა და თავის გუნდს გადამწყვეტ სერიაში გამარჯვება მოუტანა — 99 ქულა. რუსეთის ფედერაციის ნაკრებს 98 ქულა ჰქონდა. ამრიგად, ორივე კოლექტივმა ერთნაირი შედეგი აჩვენა — 391 ქულა, რაც ახალი საკავშირო რეკორდია და მსოფლიოს უმაღლესი მიღწევის გამეორებაა. პირველობა და გარდამავალი თასი გადამწყვეტი სერიის მოგებისათვის საქართველოს გუნდს მიეკუთვნა.

ო. ნოზაძე.

„სიყვარულის გრამატიკა“

მოთხრობა

„ზაზა! დღეს მივიღე შენი პირველი წერილი და ცოტა გულზე მოძმეგა. დედაშენმა რო მითხრა, ბიმზე წაგიდგა, კინაღამ იქვე ჩავიკეცე უკანასკნელ პაეკაწნე ‘თურმე ჯიბეში გდებია საგზური, რად დამმალე, შე საძაგელო? განა არა, იმ დღეს გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა, მაგრამ რას ვიფიქრებდი თუ შორეულ ტაიგაში, თოვლით გადაკენტილ გათიმილ მხარეში წასვლა გქონდა გუნებაში...

წერილმა მაინც ძალიან გამახარა, ჯერთხულობდი და თითქოს მცხმოდა შენი მოგუდული ტკბილი ხმა. გეხვეწები, თავს ნუ მომანატრებ.

დედაჩემს მაინც დამნდამაინც გულზე არ ეხატებოდი, ეს ამბავი რო გაიგო, წარამარა ნიშნს მიგვებს ხოლმე: — კაი ბავკერანი ყოფილა ის შენი ალენ დელონი (ასე გეძახის დაცინვით). მორების დაგორება თუ უნდოდა, რაღა კინულეთში მირბოდა, ახალდაბაში მოაწყობდა ზამაშენი, წასულიყო და იქ ეგორავებინაო.

მამაჩემიც ამრეზილია. ჩვენთვის ნაყიდი სამოთახიანი ბინის გაყიდვას აპირებს. მე ძალიან მწყინს. შენა?

არ გენატრება თბილისური საღამოები, ერთად რო გაგვიტარებია?

ლანა. თბილისი“

„ლანა!

მადლობელი ვარ რომ გახსოვარ.“

დედაშენის სიტყვებზე გამეცინა. მომიყოთხე ქალატონი დონარა და ჩემი სახელით გადაეცი: ვიღაცამ მორბიც უნდა დაგოროს, თორემ ისე სალოხებს მოყვარული ცის ქვეშ დარჩებიანდოქო. რაც შეეხება ბინას, მამაშენისათვის არც ყიდვა მითხოვნია, არც გაყიდვა მეკითხება. შენ კი, ჩემო ლანა, ნუ გწყინს, პირიქით უნდა გიხაროდეს, რომ მამაშენმა ვერ მიყიდა ბინითა და ფუფუნებით. მე სხვისი არაკისი არაფერი მინდა, იმას, ადრე თუ გვიან, მყრალი სუნი აუვა...

ბიჭი უნდა იყო, თბილისური საღამოები რომ არ მოგენატროს, მით უფრო, თუ დროებითი განშორება ნატრას და სიყვარულს უფრო აღრმავებს. ჰოდა, მეც, რა თქმა უნდა, მენატრება, მაგრამ ამას ნაწილობრივ მიმსუბუქებს უნაპირო თეთრი სილამაზის მზერა და, ამასთან, ოცის რწმენა, რომ გულარხეინად არა ვზივარ, რომ ამ მხარის აყვავებაში ჩემი ხელიც ურევია — სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი კი დიდობაში გამოიღებს ნაყოფსო (ეს ბოლო სიტყვები ჩემი არ გეგონოს, ვაჟა-ფშაველასია).

ნუ მომაკლებ შენი გულის სითბოს რუსული ზამთრის სუსხიან დღეებში.

ზაზა. ბამი“.

„ჩემო ზაზა!

შენი წერილის ბოლო სიტყვებმა თავზარი დამცა — ვაითუ დაანჩოქოს. მეოქი ტაიგის ზამთარმა. მერე?... გუშინ ინსტიტუტიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩემს სიცოცხლეში პირველად, უნებურად შევუხვიე ქაშუეთში, ღვთისმშობლის ხატს სანთელი ავუნთე და ჩავუთქვი, ჩემი ზაზა ჯანმრთელად მომყოფე-მეთქი.

გიგზავნი პატარა ამანათს: თბილ წინდებსა და ხელთათმანებს (ჩემი მოქსოვილია), ნიორს, ცოტა ჩვენებურ ტკბილეულს და ერთ ლიტრა არაყს, რაც ჩაეტია სტანდარტულ ყუთში.

თავს გაუფრთხილდი. კეოცნი.

ლანა. თბილისი“.

„ჩემო ლანა!

ამანათი მივიღე. ალაურმა მეგობრებმა ერთხმად დალიეს შენი სადღეგრძელო. ირას კი ისე მოწყენა ყაბური ჩურჩხელა, — ამისთანა არაფერი მიჭამიაო. სხვათაშორის, ირა ძალიან ჭკვიანი ქალიშვილია. ის რომ ლაპარაკობს ხოლმე, ასე მგონია ჩემს ნაფიქრ-ნაგრძნობს-მეთქი. ჩვენი თავშეყრის ადგილი კლუბია. ამას წინებზე სიყვარულზე ჩამოვარდა საუბარი. ერთმა ერთი სთქვა, მეორემ — მეორე, მესამემ — მესამე, ყველას ირამ აჯობა. პირველად მისგან შევიტყვეთ, რომ თურმე სიყვარულსაც ჰქონია თავისი გრამატიკა, გრძნობათა გრამატიკა.

— ენის გრამატიკაში კოჭლობა თუ მხოლოდ მეტყველებას ეტყობა, სიყვარულის გრამატიკაში უვიეობა ადამიანის გულებზე აჩენს განუკურნებელ ჭრილობებსო, — თქვა ირამ.

ეს სიტყვები ყველას მოეწონა. ჩემი ჯანმრთელობა ნუღარ გაფიქრებს. მე აღარა ვარ იმ ზღაარის ახალშებუმბერული წიწილა, საქათმის სარკმელში გაბრწყინებული მელიას თვალი მზედ რომ მოეჩვენა, მამალიკით შეპყიკვლა, „გათენებულაო“, საქათმიდან პირველი გამოვარდა და მელიას ლუკმა გახდა... მერწმუნე, უკვე ვისწავლე ტაიგის ენა.

ზაზა. ბამი“.

„ჩემო ზაზა!

სესხიებმა ძალიან მომქანცა. მოგრჩი თუ არა, ორი კვირა ბიჭვინთაში გავატარეთ მე და დედაჩემმა. მაგრამ არც ზღვის ტალღების საამო დგაფუნი მესიამოვნებოდა, არც უკიდეგანო ლურჯი სივრცის მზერა, პირიქით, ზღვისპირეთმა უფრო ამიშალა მშფოთვარე ფიქრები: ვინ არის ეგ ირა? რა უნდა მის სახელს და „გრამატიკას“ ჩემს წერილში? როგორია გარეგნულად? რას აკეთებს თქვენთან და რა ადგილი უჭირავს შენს... რისი მომასწავებელია ყოველივე ეს?..

მგონი ამჯერად კმარა. გაოგნებული ვარ.

ლანა. თბილისი“.

„ჩემო ლანა!

მომლოცავ. მორაბს აღარ აგორებს დედაშენის „ალენ დელონი“. დამაწინაურეს, ახლა ერთი მთავარი ბრიგადა მაბარია. აქ უკვე ყველამ იპოვა თავისი ადგილი მეგზურობაში. ერთი სიტყვით, ყველა ვეზიდებით ჩვენ ჩვენ ხვედრ აგურს ჩვენი დროის საოცნებო მაღალ მწვერვალზე... ამ სიტყვების წაკითხვისას არ გაიღიმო, მეწყინება, იმიტომ, რომ ზოგიერთებს ასეთი სიტყვების გაგონებაზე ეღიმებათ ხოლმე, ამკარად თუ არა, გულში მაინც: „შეუნდოს მათ უფალმა, რამეთუ არ იციან, რასა იქმნენ“. მე ახლა უნდა ვმუშაობდე, ვაშენებდე, ვქმნიდე ხელებდაკაპიწებული, თორემ მერე გვიან იქნება. ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთ წელს უსაქმოდ რომ დავყიალობდი ქალაქში და მოხუცებულ პენსიონერ შმობლებს ვაჯიქი ბურგზე. თურმე მწარე ლუკმას ვჭამდი იმ ერთ წელიწადს...

„სიყვარულის გრამატიკა“

მოთხრობა

— ენის გრამატიკაში კოჭლობა თუ მხოლოდ მეტყველებას ეტყობა, სიყვარულის გრამატიკაში უვიეობა ადამიანის გულებზე აჩენს განუკურნებელ ჭრილობებსო, — თქვა ირამ.

ეს სიტყვები ყველას მოეწონა. ჩემი ჯანმრთელობა ნუღარ გაფიქრებს. მე აღარა ვარ იმ ზღაარის ახალშებუმბერული წიწილა, საქათმის სარკმელში გაბრწყინებული მელიას თვალი მზედ რომ მოეჩვენა, მამალიკით შეპყიკვლა, „გათენებულაო“, საქათმიდან პირველი გამოვარდა და მელიას ლუკმა გახდა... მერწმუნე, უკვე ვისწავლე ტაიგის ენა.

ზაზა. ბამი“.

„ჩემო ზაზა!

სესხიებმა ძალიან მომქანცა. მოგრჩი თუ არა, ორი კვირა ბიჭვინთაში გავატარეთ მე და დედაჩემმა. მაგრამ არც ზღვის ტალღების საამო დგაფუნი მესიამოვნებოდა, არც უკიდეგანო ლურჯი სივრცის მზერა, პირიქით, ზღვისპირეთმა უფრო ამიშალა მშფოთვარე ფიქრები: ვინ არის ეგ ირა? რა უნდა მის სახელს და „გრამატიკას“ ჩემს წერილში? როგორია გარეგნულად? რას აკეთებს თქვენთან და რა ადგილი უჭირავს შენს... რისი მომასწავებელია ყოველივე ეს?..

მგონი ამჯერად კმარა. გაოგნებული ვარ.

ლანა. თბილისი“.

„ჩემო ლანა!

მომლოცავ. მორაბს აღარ აგორებს დედაშენის „ალენ დელონი“. დამაწინაურეს, ახლა ერთი მთავარი ბრიგადა მაბარია. აქ უკვე ყველამ იპოვა თავისი ადგილი მეგზურობაში. ერთი სიტყვით, ყველა ვეზიდებით ჩვენ ჩვენ ხვედრ აგურს ჩვენი დროის საოცნებო მაღალ მწვერვალზე... ამ სიტყვების წაკითხვისას არ გაიღიმო, მეწყინება, იმიტომ, რომ ზოგიერთებს ასეთი სიტყვების გაგონებაზე ეღიმებათ ხოლმე, ამკარად თუ არა, გულში მაინც: „შეუნდოს მათ უფალმა, რამეთუ არ იციან, რასა იქმნენ“. მე ახლა უნდა ვმუშაობდე, ვაშენებდე, ვქმნიდე ხელებდაკაპიწებული, თორემ მერე გვიან იქნება. ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთ წელს უსაქმოდ რომ დავყიალობდი ქალაქში და მოხუცებულ პენსიონერ შმობლებს ვაჯიქი ბურგზე. თურმე მწარე ლუკმა ვჭამდი იმ ერთ წელიწადს...

ჩემო ლანა!

კიდევ ერთი გამარჯვება მოვიპოვეთ ბამელებმა. გუშინ პირველმა ორთქმავალმა მდინარე ლენაზე აშენებული პირველი მონოლითური ხიდი გადმოიარა და ტაურიაში მოვიდა, რომელიც ჩვენი დასახლებიდან ხელის გაწვდენაზეა. დამხვდურთა შორის მეც ვიყავი. ტაბლიმ ერუანტელმა დამიარა ტანში, როცა ორთქმავლის ავმოლი ფიქრივით მოეხვია თოვლიან ტაურიას და ათასეული წლობით მოუდგომელი მხარე ამიერიდან მთელ მსოფლიოს შეუერთდა. გაივლის სულ მცირე დრო და მატარებელი ჩვენი თანამემამულეების ხია-შიც მივა. სხვათა შორის, ამას წინებზე ვიყავი იქ. ძალიან გავიხარეთ ერთი მიწაწყლის შვილებმა შეხვედრით. თოვლის მღელვარე ზვიორებში შეჭრილი ერთ-ერთ ქუჩისათვის ბიჭებს რუსთაველის პროსპექტი დაერქმეიათ. იმ დღეს ტაიგის წიაღიდან ამოვარდნილი თავაწყვეტილი ქარამოტი დაელურს უვლიდა „პროსპექტზე“, მაგრამ ამოს მანც ვერაფერს აკლებდა ძარღვით დაგრაგნილი თოვლის ბუქი.

როგორ ძ�ლი შენი საქმეები? როგორ ემზადები სახელწიფო გამოცდებისათვის?

ზაზა. ბამი“.

„ჩემო ზაზა!

მალე დასრულდება ჩემი სტუდენტობის დღეები, ალბათ — კარგად. ჩვენს სახლში ომია — სად გამამწყობონ ბავშვთა ეკიმად?

მამა ქუთაისში წასულას მირჩევს, დედას დაუკინია, ჩემს ქალიშვილს კალთიდან არ მოვიმორებო. ძმას ნეიტრალური პოზიცია უჭირავს. მისთვის სულ ერთია. მე კი არც ქუთაისისკენ მიმიწევს გული, არც თბილისში დაბრენა.

შენ რას მირჩევ?

ჰო, მართლა, ციასანა და გურამი გაიყარნენ — ერთმანეთისათვის ხასიათი ვერ შეუწყვიათ... ჯატარა გია მეკოდება, თორემ ისინი თავ-თავის გზას მონახავენ.

ლანა. თბილისი“.

„ჩემო ლანა!

მეწყინა ციასანის და გურამის ამბავი, თუმცა არ გამკვირვებია. მაშინაც ვიტყოდი, რომ მაგათი თხები ერთად ვერ მოძოვდნენ. ირას რომ ვუამბე მათი რომანის ფინალი, თქვა:

— რას იზამთ! მარტო ეგენი როდი არიან, რომ სწავლა-განათლებას ილებენ და ადამიანურ ღირსებას ვერ იძენენ, ოჯახს ქმნიან და ოჯახი არ უყვართ, რადგან ერთი ხანაროეს ყოფისაკენ იყურება, მეორე კი კამჩატკისაკენ. მართლაც ასე იყო, როცა ჯვარი დაიწერეს.

რაც შეეხება შენს ოჯახში გამართულ ომს, მე ასე მეტყვი: შენ თავად გადაწყვიტე და ცოდვა-ბრალიც შენს კისერზე იყოს. ისე კი, ბავშვები ტაიგაშიც არიან!..

ზაზა. ბამი“.

აქ წყდება მიწერ-მოწერა, რით დამთავრდა ეს ამბავი, არ ვიცი და გარკვევით ვერაფერს მეტყვით.

ა. დავითიანი.

თბილისის ზოოპარკს შეემატა

აქ მტაცებელთა ოჯახს ახლახან შეემატა ბენგალური ჯიშის ვეფხვის ორი ბოკვერი — ბობი და ნია, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოიყვანეს თბილისში.

სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოიყვანეს აგრეთვე ორი თეთრი ყარსაღი, კაპუცინის ჯიშის მაიმუნი, თუთიყუში და სხვა ნადირფრინველი.

არდადეგების პერიოდში ბავშვები სიამოვნებით ათვალიერებენ მათ.

სურათებზე: ვეფხის ბოკვრები ბობი და ნია; თეთრი ყარსაღები.

ბ. ბოგოხიას ფოტო.

თქვენთვის, ცნობისმოყვარენო...

ჩაი, შაქარი, სამოვარი...

პეტნის, ქონდრის, ცაცხვის ყვავილის, კრაზანას ფოთლის, თაფლავას, ეთერსტერფას, გვირილას, ასკილის, ქოქოსის კაკლის, ფეიჯოას, ეოლოს, წყალნაყენისა და სხვა უამრავი სახის ნაყენს იყენებდა ადამიანი ძველთაგანვე, როგორც სამედიცინო საშუალებას. ჩაისაც ხომ თავდაპირველად ამ მიზნით ხმარობდნენ. მას შემდეგ, რაც ჩაის დამზადება ცნობილი გახდა, იგი მტაც�დ დამკვიდრდა ადამიანთა ყოფაში. გადალახა ზღვები, ოკეანეები და ყველა კონტინენტზე ჰპოვა თაყვანისმცემლები.

ჩაის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ჟურჟლის სახელწოდება: ჩაის ჭიქა, ჩაის კოვზი, ჩაიდანი, ჩაის სერვიზი და სხვ.

ჩაის გავრცელებასთან და განვითარებასთან ერთად გაჩნდა ახალი ტერმინები — ჩაიხანჩი (ჩაის მომდღეველი), ჩაიხანა (ჩაის დუქანი), ჩაის ფაბრიკა და სხვ.

მე-18 ს. დასაწყისიდან ბაზრებზე გამოჩნდა ევროპული ფაიფურებისაგან დამზადებული ჩაის სერვიზი.

ჩაის გავრცელებამ დიდი გაელენა მოახდინა შაქრის წარმოების განვითარებაზე.

შაქარი სახსკრიტული წარმოშობისაა. დასავლეთ ევროპაში იგი არაბებმა შეიტანეს. გვიან-დან შაქარი ცნობილი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როგორც სამედიცინო საშუალება, მისი უძველესი სამშობლო ინდოეთია — ამ ქვეყანაში მას ბალნეუს უფროსი იხსენიებს.

1823 წლისათვის საფრანგეთში უკვე შაქრის 103 ქარხანა იყო. შაქრის წარმოება რუსეთში პეტრე I დროიდან იწყება.

მე-18 საუკუნედე შაქარი ევროპაში ფუფუნების საგანი იყო. იგი ერთ დროს ეერცხლის ფასად აფასებენ. კი იყიდებოდა. მის ყიდვას მხოლოდ შეძლებულები ახერხებდნენ.

ჩაის შემოღების შედეგია სამოვარის გამოჩენა. სამოვარს გერმანელებმა „რუსების ჩაის ძანქანა“ უწოდეს. წყლის გასუთბობი, ასადუღებელი ჭურჭელი ჰქონდათ ძველ ხალხებს, მათ შორის ყველაზე სრულყოფილი — ძველ რომაელები, რაც პომპეის გათხრებმა დაადასტურა. თანამედროვე ჩაის მოსადუღებელი — სამოვარი რუსების დამსახურებაა. იგი რუსეთში მე-18 საუკუნის შუა წლებში გამოჩნდა. სამოვარს აწარმოებდნენ მოსკოვში, პეტერბურგში, ბარნაულში და ირბანგელსკში. მაგრამ მთავარი ცენტრი მაინ ტულა გახდა. 1778 წელს ივანე ლისიცინმა აქ დააარსა სამოვრის პირველი ფაბრიკა. ტულის ფაბრიკის სამოვრებს მრავალი ჯილდო მიუღია გამოფენებზე პეტერბურგში, ოდესაში, პარიზში. 1904 წლისათვის ტულა 50 ფირმის სამოვრებს უშვებდა.

ს. ნუცუბიძე.

მხოლოდ სამასი...

მინიატურული ცხენები ერთ-ერთ ინვიათ ჯიშად ითვლება დედამიწის ცხოველთა სამყაროში. ამჟამად მთელ მსოფლიოში მხოლოდ სამასი ცხენიღა დარჩა, რომელთაგან თერთმეტი კალიფორნიელ (ამერიკის შეერთებული შტატები) ფერმერს ეკუთვნის. მისი საჯინიბოს, (რომელსაც ხუმრობით „ცხენების სასტუმროს“ უწოდებენ) მობინადრეთა სიმაღლე 75 სანტიმეტრს არ აჭარბებს.

სურათზე: ფერმერი თავის ოთხფეხა მეგობრებთან.

კამერა პრესის ფოტო.

რამდენი ადამიანია დედამიწაზე?

დღეს დედამიწის მოსახლეობის რიცხვი ოთხი მილიარდი გახდება. დემოგრაფების მონაცემებით პირველ მილიარდს კაცობრიობამ 1850 წელს მიაღწია, 1930 წელს მოსახლეობის რიცხვი უკვე ორი მილიარდი იყო, ხოლო 1960 წელს სამი მილიარდი აღინიშნა. ვარაუდობენ, რომ 1989 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის რიცხვი 5 მილიარდს მიაღწევს.

ყოველ დღეს დედამიწის მოსახლეობას 195.000 ადამიანი ემატება.



მხატვრის ღიმილი

როცა ცოლი თვალიც ეჭიმია...

ა. ერაძის ნახატი.

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იდგა, კოლხეთის დაბლობზე ძლიერი ქარი ქროდა. დაბლობ რაიონებში 13 საათზე 12-15, მთებში ყველაზე მეტი სითბო — 13 გრადუსი ხულოში აღინიშნა, დანარჩენ რაიონებში 7-10 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოღრუბლული, ნისლიანი ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 4-10, მთებში 1-7 გრადუსი სითბო იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მცირე ყინვაა მოსალოდნელი, დაბლობ რაიონებში 12-17, მთებში 4-9 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე ნალექი, ზოგან ნისლი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 9-14, მთაში 3-8 გრადუსი სითბო.

თბილისში — 12-14 გრადუსი სითბო.

გ. ა. ტატიშვილი

ფეხბურთი

მ ა ტ ჩ ი ზაპოროჟიეში

გუშინ ზაპოროჟიეში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის მატჩი ადგილობრივ „მეტალურგსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

თამაშში მეტად რთულ პირობებში (სველი, ტალახიანი მინდორი) მიმდინარეობდა. მე-60 წუთზე მასპინძელთა მცველმა ხელით ითამაშა საჯარიმოში და მაჯმა ვ. ფარდმანმა (ეისკი) „მეტალურგის“ კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დაგნშნა. დარტყმა უნაკლოდ შესრულა დ. ყიფიანმა. — 1:0. ხუთი წუთის შემდეგ დეგტიარიოვმა მიუსწრო დ. გოგიას მიერ მოგერიებულ ბურთს და წონასწორობა აღადგინა — 1:1. ასე დამთავრდა თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო.

დაინიშნა პენალტების სერია. „მეტალურგმა“ გაიტანა 4 ბურთი (ერთი აიღო მეკარე გოგიამ), ხოლო თბილისელებმა — ხუთივე (ქორაძე, ბუცაევი, ჩელეგაძე, ჭელიძე, ყიფიანი).

დინამოელები გათამაშების მერვედფინალში გავიდნენ.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: გოგია, ხიხანაშვილი, ჭელიძე, ხიჩიგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი (ჩელეგაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, დარასელია, ბუცაევი, ყიფიანი.

მინიმალური ანგარიშით

სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურ მატჩში ქუთაისის „ტორპედო“ მასპინძლობდა გუშინ ამ საპატიო პრიზის ოთხგზის მფლობელს — მოსკოვის არმიელთა გუნდს.

შეხვედრამ, რომელმაც დიდად დაინტერესა ფეხბურთის მოყვარულები, დაძაბულ და უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა. პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. არმიელთა ერთერთი შეტევის დროს (წე-10 წუთზე) ქუთაისელ მცველებს შეცდომა მოუვიდათ და სტუმართა ახალგაზრდა თავდამსხმელმა კოლპოვსკიმ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში.

0:1 — ქუთაისელი ფეხბურთელები გამოეთიშნენ თასისათვის ბრძოლას.

ტორპედოელები გუშინ ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ფაბელია, კოსტავა, ხურცილავა, სულაქველიძე, ჭოხონელიძე, ლ. ნოდია, ჩახუნაშვილი, ქვირია, შელია, ხერხაძე, გაბიჩვაძე.



კრივი

დ. კვაჭაძე — ფინალში

სვერდლოვსკში, პროფკავშირთა სპორტის სასახლეში ძიდიდნარეობს სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატი კრივში. გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა — დღეს გაიმართება ფინალური ორთაბრძოლები.

ქვემძიმე წონაში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა მოკრივემ დავით კვაჭაძემ („ბურევესტნიკი“), რომელმაც დაამარცხა გამოცდილი ოსტატი ვლადიმერ მირონიუკი („შრომითი რეზერვები“), ნახევარფინალში მოუგო ოლეგ კოროტაევს („ბურევესტნიკი“) და ფინალში გავიდა. ქართველი მოკრივე ოქროს მედლისათვის ბრძოლაში ახლა ლენინგრადელ ვ. ეგოროვს შეხვდება.



გაბედული მოგზაური ქალი

40 წლის პოლონელ სპორტსმენ ქალს კრისტინა ხოინოვსკალესკეენის განზრახული აქვს გაბედეს პირველი ქალი, რომელიც მარტოდმარტო იმოგზაურებს თავისი იალქნით მსოფლიოს გარშემო.

— მე სავსებით დარწმუნებული ვარ წარმატებაში, — თქვა გაბედულმა მოგზაურმა ლას პალმასში (კანარის კუნძულები) სტარტისათვის გამგზავრებისას. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ არსებობდა აზრი, რომ მეზღაურ ქალს არ ძალუძს მარტო გადალახოს ატლანტიკა — დასძინა ხოინოვსკა-ლესკეენმა — მაგრამ ანა დეკისონმა „ფელისიტზე“, ნაკოლტ მაილს-ჯოლკერმა „არისზე“ და ტერეზა რამიშევსკამ „კოიმოდორზე“ უარყვეს ეს მტკიცება“.

პოლონეთის საიალქნო სპორტის ასოციაციის ხელმძღვანელმა ვესლავ როგალამ განაცხადა, რომ კრისტინას ნამგალი მეზღაურის ყველა ღირსება აქვს.

გ. ა. ტატიშვილი

გარდაიცვალა ძველი პარტიული მუშაკი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი გიორგი ალექსის-ძე ტატიშვილი.

გ. ტატიშვილი დაიბადა 1911 წელს, ქ. ახალციხეში, ხელოსნის ოჯახში. 1930 წელს თბილისის ქიმიურ-ტექნოლოგიური მუშფაკის დამთავრების შემდეგ აქტიურად ჩაება კომკავშირულ საქმიანობაში. მუშაობდა საქართველოს ალკა ბორჯომის რაიკომში, თბილისის საქალაქო და ალკა ცენტრალურ კომიტეტებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. არჩეული იყო კომკავშირის ლენინისა და კალინინის რაიკომების მდივნად. 1940 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე ვ. ტატიშვილი ფრონტის წინა ხაზზეა და მონაწილეობს ყირიმისათვის ბრძოლებში, ნაღმტყორცნელთა ათასეულის კომისარია. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი დაიჭრა და დემობილიზებულ იქნა არმიიდან. მიუხედავად იმისა, რომ ომმა მძიმე კვალი დაამჩნია მის ჯანმრთელობას, იგი ჩვეული ენერგიით ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლა.

1943 წლიდან გ. ტატიშვილი კვლავ პარტიულ სამუშაოზეა. აქედან მოყოლებული სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელ ორგანიზატორად და ამავე განყოფილების გამგედ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად, გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1957 წლიდან სიცოცხლემდე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი.

გ. ტატიშვილი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

სიმშობლოს წინაშე დამსახურებისათვის გ. ტატიშვილი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

გ. ტატიშვილი ნამდვილი პარტიული მუშაკის განსახიერება იყო — უმწიკვლო და პატიოსანი, ინიციატივიანი, ენერგიული და დაუზარელი. გამოირჩეოდა მინდობილი საქმისადმი სიყვარულითა და ერთგულებით, დიდი პასუხისმგებლობით, სანიმუშო დისციპლინითა და პრინციპულობით, მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, პარტიისა და ხალხის სამსახურს მიუძღვნა.

კომუნისტური პარტიის, ხალხის წინაშე ვალმოხდილი მუშაკი, სპეციალი პირადანება, შესანიშნავი მოკალაქე და მეგობარი, გულისხმიერი ადამიანი — ასეთი დარჩება იგი მისი მეგობრებისა და ამხანაგების ხსოვნაში, ყველა იმათ ხსოვნაში, ვის გვერდითაც მას უცხოვრია და უმუშავია.

ამხანაგების ჯგუფი.

გ. ა. ტატიშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 28, 29 მარტს საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაში — ფალიაშვილის ქუჩა, № 35.

გამოსვენება — 30 მარტს დღის 4 საათზე.

დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პარტიული კომიტეტი და ადგილკომი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 25 მარტს გარდაიცვალა ცენტრალური კომიტეტის აპარატის ერთ-ერთი ძველი მუშაკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი

გიორგი ალექსის-ძე ტატიშვილი

და ხამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ტელევ